



# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

## ბ ა ღ ა ზ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №33/20

2019 წლის 24 აპრილი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2019 წლის 24 აპრილის საჯარო სხდომაზე განიხილა ბმა „ერა 2008“-ის თავმჯდომარის, მიშა ვერულაშვილის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№3700/01; 04.04.2019), მადონა გრძელიშვილის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№3981/01; 11.04.2019), ელიზბარ ელიზბარაშვილის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№3984/01; 11.04.2019), შპს „რომპეტროლ საქართველოს“ გენერალური დირექტორის, ზამანბეკ მირზაიანოვის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№3982/01; 11.04.2019) და ნინო სამხარაძის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№4101/01; 15.04.2019) არსებულ დავებზე ვადის გაგრძელების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გაგრძელების (განსაზღვრის) საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების მისაღებად და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა, გამოკვლევა და შეფასება, რაც დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის

არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

#### გადაწყვიტა:

1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ ბმა „ერა 2008“-ის თავმჯდომარის, მიშა ვერულაშვილის განცხადებასთან (№3700/01; 04.04.2019) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 3 ივლისი.
2. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ მადონა გრძელიშვილის განცხადებასთან (№3981/01; 11.04.2019) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 10 ივლისი.
3. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ ელიზბარ ელიზბარაშვილის განცხადებასთან (№3984/01; 11.04.2019) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 10 ივლისი.
4. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ შპს „რომპეტროლ საქართველოს“ გენერალური დირექტორის, ზამანბეკ მირზაიანოვის განცხადებასთან (№3982/01; 11.04.2019) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 10 ივლისი.
5. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ ნინო სამხარაძის განცხადებასთან (№4101/01; 15.04.2019) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 12 ივლისი.
6. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირებს.
7. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.

8. გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ ცალკე არ გასაჩივრდება.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე



მაია მელიქიძე

კომისიის წევრი



გოჩა შონია

კომისიის წევრი



დავით ნარმანია

კომისიის წევრი

